პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВ. ПРОФСОЮЗОВ

31 მაისი, კვირა, 1987 წ.
№ 106 (9517) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა



ადამაშვილი თავს გვამახსოვრებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხულ რაღაც სამოიდე კვირის წინათ თბილისში - „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის“ გათამაშებაში ვლადიმერ ადამაშვილმა 200 მეტრზე გიტში (სვლით) 10,784 აჩვენა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა. ასეთი მაღალი კვალიფიკაციის ველოსიპედისტი საქართველოში არც ისე ბევრი გვყავს და 19 წლის სპორტსმენის წარმატებამ ყველა გაახარა.

იხ. მე-4 გვ.

ჭაბუკთა მეორე რესპუბლიკური თამაშები

გუნდური პირველობის შედეგები

მდგომარეობა 30 მაისისათვის, სპორტის 15 სახეობაში ჩატარებული შეჯიბრებების შემდეგ

I ჯგუფი

(მხვილი ქალაქები და რეგიონები)

1.	თბილისი	— 5472,5 ქ.
2.	ქუთაისი	— 3733
3.	აფხაზეთი	— 3556,5
4.	აჭარა	— 2489,5
5.	რუსთავი	— 1369,5
6.	სამხრეთ ოსეთი	— 628

II ჯგუფი (ქალაქები)

1.	ფოთი	— 1803 ქ.
2.	გორი	— 583,5
3.	წყალტუბო	— 452,5
4.	ზუგდიდი	— 216
5.	ჭიათურა	— 153,5
6.	ტყიბული	— 0
7.	მარნეული	— 0

III ჯგუფი (რაიონები)

1.	მცხეთა	— 882 ქ.
2.	საჩხერე	— 332
3.	ბორჯომი	— 231
4.	მაიაკოვსკი	— 225
5.	სამტრედია	— 223
6.	მახარაძე	— 207
7.	გარდაბანი	— 183,5
8.	საგარეჯო	— 182,5
9.	ცხაკაია	— 151
10.	თელავი	— 150,5
11.	ბოლნისი	— 138
12.	ლანჩხუთი	— 127
13.	ზესტაფონი	— 122
14.	წალენჯიხა	— 114
15.	ახმეტა	— 113,5
16.	ლენტეხი	— 106,5
17.	გურჯაანი	— 106
18.	ვანი	— 100
19.	გორი	— 95
20.	კახეთი	— 94,5
21.	ორჯონიკიძე	— 88
22.	მესტია	— 84
23.	ხიდნალი	— 83,5
24.	ყვარელი	— 81
25.	წალკა	— 60
26.	ხობი	— 59
27.	აბაშა	— 52
28.	ხაშური	— 51,5
29.	ქარელი	— 45
30.	ახალციხე	— 48
31.	ონი	— 33
32-33.	გეგეჭკორი	— 25
32-33.	წითელწყარო	— 25
34.	ლაგოდეხი	— 22,5
35.	ახალქალაქი	— 17
36.	ზუგდიდი	— 7
37.	მარნეული	— 3
38.	ჩოხატაური	— 1

დღემდე ჩატარებული სპორტის 15 სახეობიდან არც ერთში არ მიუღიათ მონაწილეობა ადიგენის, ამბროლაურის, ასპინძის, ბოგდანოვკის, დმანისის, დუშეთის, ყაზბეგის, თერჯოლის, თეთრი წყაროს, თიანეთის, ცაგერის, წულუკიძის, ჩხოროწყუს რაიონებს.

შენიშვნა: შეჯიბრებები ჩატარდა ბადმინტონში, [illegible], კლასიკურ და თავისუფალ ჭიდაობაში, ძიუდოში, ნიჩბოსნობაში (აკადემიური, ბაიდარა და კანოე), წყალბურთში, წყალში ხტომაში, ბატუტზე ხტომაში, სინქრონულ ცურვაში, ტყვეის სროლაში, მაგიდის ჩოგბურთში, ძალოსნობასა და ცხენოსნობაში.

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის ბრიზზე

დაუმარცხებლად ლიდერობენ

მეოთხე ტურში საქართველოს ნაკრები ძლიერ მეტოქეს, იუგოსლავიის გუნდს ეთამაშა. იუგოსლავიელები 1968 და 1984 წლების ოლიმპიური თამაშებისა და შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონები არიან, ორი კვირის წინათ მათ მსოფლიო თასიც მოიპოვეს. იუგოსლავიელებთან შეხვედრაში მასპინძლებს გამარჯვების იმედი არ ჰქონდათ. მართალია, ჩვენმა ნაკრებმა შარშანდელ ტურნირში იუგოსლავიელებთან შეხვედრა ფრედ დამთავრა და საბჭოთა გუნდის შემდეგ მეორე ადგილი დაიკავა,

იხ. მე-2 გვ

პირველი დღე, პირველი რეკორდი

სამატჩო შეხვედრა

თბილისს „დინამოს“ სტადიონზე გუშინ დაიწყო ამერკავკასიის რესპუბლიკებისა და მოლდავეთის მძლეოსანთა ორდღიანი მატჩი. ასპარეზობის პირველ დღეს ნაჩვენები შედეგებიდან აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონის ტარიელ ბიწაძის მიღწევა. სოხუმელმა მძლეოსანმა საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა ბირთვის კვრაში — 19,93 მ. ძველი მიღწევაც, რომელიც 19,90 მეტრს უდრიდა, ბიწაძეს ეკუთვნოდა.

ვაჟთა შორის 100 მეტრზე რბენაში პირველი და მეორე ადგილები აზერბაიჯანელმა სპრინტერებმა ოლეგ მუხინმა (10,2) და გენადი მირზოიანმა (10,4) დაიკავეს. ზურაბ მემარნიშვილი მესამე იყო — 10,4.

კალგარის თამაშებზე

მოწვევა მიღებულია

საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ კალგარის (კანადა) XV ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. ეს გადაწყვეტილება მიღებულია საბჭოთა კავშირის ოლიმპიური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც 29 მაისს მოსკოვში გაიმართა. პლენუმმა ერთხმად მიიღო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მოწვევა და კალგარიში საბჭოთა სპორტსმენების დელეგაციის გაგზავნა გადაწყვიტა.

ინფორმაციით — თეთრი ოლიმპიადისათვის ჩვენი რაკრები გუნდების სამზადისის შესახებ, გამოვიდა სსრ კავშირის სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. მამატოვი, შემდეგ მოხსენებით გამოვიდა საკავშირო სახელმწიფო სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მ. გრამოვი, რომელმაც ისაუბრა საერთაშორისო სპორტული და ოლიმპიური მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე.

ბიბლიოთეკა

კვირიდან კვირამდე

„სოვეტსკი სპორტი“ — 24 მაისი. „მსაჯი შეცდა. რატომ?“ ამ აქტუალურ საფეხბურთო თემაზე მსაჯთა საკავშირო კოლეგიის აზრს გამოთქვამს კოლეგიის თავმჯდომარე ვ. ზუევი. **26 მაისი.** რუბრიკით „გულწრფელი საუბარი“ დაიბეჭდა სპორტის ოსტატის ანატოლი კორშუნოვის წერილი „ასეთი უბრალო და რთული...“ **28 მაისი.** „სახვალიო დავალება“ — ასე ეწოდება სტატიას, სადაც სსრ კავშირის სპორტული კინოსა და ტელევიზიის ფედერაციის თავმჯდომარე გერმან კლიმოვი განიხილავს საბჭოთა სპორტული კინემატოგრაფის პრობლემებს. **29. მაისი.** „ინგლისური ავადმყოფობის“ კიდევ ერთ (უკვე მერამდენე?) გამოვლინებაზე მოგვითხრობს მ. იგორევი წერილში „ტაბლოზე — 0:0, გისოსებს უკან — 100“. **30 მაისი.** „ჰარალდ შუმახერი: მე არაფერს არ ვნანობ“ — ასე ეწოდება ცნობილი ფეხბურთელის ინტერვიუს, რომელიც მან შვეიცარიული გაზეთის „შპორტის“ კორესპონდენტს მისცა.

„ტრუდი“ — 24 მაისი. „ნათლად დავინახოთ პერსპექტივა“. კორესპონდენტის შეკითხვებს პასუხობს საბჭოთა კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი ვალერი ლობანოვსკი.

**შაში-რენჟიუ „ლელოს“ მკითხველებმა პირველად შარშან დეკემბერში გაიცნეს. შემდეგ პირველი გაკვეთილებიც დავბეჭდეთ და აი, სულ რამდენიმე თვეში, მარტო თბილისში, სპორტის ამ უძველესი სახეობის რამდენიმე ათეული მიმდევარი გამოჩნდა. მათგან საუკეთესონი (10 ვაჟი და 2 ქალი) გუშინ პირველად მოუსხდნენ მაგიდებს და... დაიწყო ისტორია, რომლის თავფურცელი თბილისის ჩემპიონატი გახლდათ.

აქვე ვიტყვით, რომ შაში რენჟიუ სსრ კავშირის 110 ქალაქშია დანერგილი. მომავე სომხეთში უკვე ჩატარდა ერევნის ოთხი ჩემპიონატი და სამი რესპუბლიკური პირველობა. დიდი ხანი არაა, რაც ამერკავკასიის შეჯიბრებაც მოეწყო, სადაც ქართველი მოშაშე სანდრო ჯორბენაძე გამოდიოდა. ამ სპორტსმენმა და ჩვენმა რედაქციამ ითავა რენჟიუში თბილისში პირველი ასპარეზობის ჩატარება. წინადადება მოიწონა რესპუბლიკის სპორტსახლომმა, ხოლო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა და ჟურნალისტთა სახლმა პირველ შეჯიბრების ჩატარებაში გაუწია დახმარება ენთუზიასტებს.

გუშინ ჟურნალისტთა სახლში, სადაც ეს შეჯიბრება მიმდინარეობს, შედგა წილისყრა და პირველი შეხვედრებიც გაიმართა.

ასპარეზობის მთავარი მსაჯია ამერკავკასიაში შაშ რენჟიუს დანერგვის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ე. ვოსკანიანი.

თბილისი. ჟურნალისტთა სახლი. პირველი შეჯიბრება რენჟიუში.

ორიენტირი — სპორტსკოლეგების აღსაზრდელთა საკავშირო სპორტული თამაშები

ვიბრძოლებთ უმაღლესი ადგილისთვის

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები განაგრძობენ სპორტსკოლების აღსაზრდელთა საკავშირო თამაშებისთვის მზადებას. ფეხბურთელთა ნაკრებს ხელმძღვანელობს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ნიკოლოზ ამირეჯიბი**, ჩვენი კორესპონდენტი შეხვდა მას და რამდენიმე კითხვით მიმართა.

● **რა პრინციპით დააკომპლექტეთ გუნდი?**

ნაკრების დაკომპლექტების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია კანდიდატების ხარისხობრივი შერჩევა, სხვანაირად რომ ვთქვათ, სელექცია. მწვრთნელთა ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელობაც დამევალა, იმთავითვე რამდენიმე პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. მდგომარეობა კიდევ უფრო გაართულა იმან, რომ მაშინ (1985 წლის შემოდგომაზე) ზუსტად არ ვიცოდით რომელი ასაკის სპორტსმენებთან მოგვიხდებოდა მუშაობა — საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტრო და სპორტსახკომი დიდხანს ვერ შეთანხმდნენ შეჯიბრების საორგანიზაციო საკითხებზე. ეს „მოლაპარაკება“ შარშან შემოდგომამდე გაგრძელდა.

საქართველოს განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველომ მონახა გამოსავალი — ჩაატარა ორი შესარჩევი რესპუბლიკური ტურნირი 1971 და 1972 წლებში დაბადებულ მოზარდთა შორის. ამან საშუალება მოგვცა, შეგვერჩია სამ ათეულზე მეტი კანდიდატი. ასე გადაიდგა პირველი ნაბიჯი.

● **როგორ მიმდინარეობდა გუნდის მზადება?**

— 1986 წლის შემოდგომაზე გვინდოდა ყველა კანდიდატი 35-ე სპეციალიზებული სკოლის ბაზაზე შეგვეკრიბა, მაგრამ ჩანაფიქრი ვერ განვახორციელეთ. ერთ-ერთი მიზეზი სკოლის კვების ბლოკისა და საძინებელი კორპუსის მშენებლობის გაჭიანურება იყო.

პირველი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება თბილისში მოვაწყვეთ 1986 წლის 21-31 დეკემბერს. შემდეგ მონაწილეობა მივიღეთ გაგრაში ჩატარებულ შოთა იმანაძის სახელობის საკავშირო ტურნირში, სადაც სარბიელზე 1971 წელს დაბადებული ფეხბურთელები გამოდიოდნენ. იქ ჩვენ, მართალია, მხოლოდ მეხუთე ადგილი დავიკავეთ, მაგრამ ტურნირმა დიდი სარგებლობა მოგვიტანა: გამოავლინა საერთო ფიზიკურ და სპეციალურ ტაქტიკურ მომზადებაში არსებული ნაკლოვანებები. ამიტომ წლეულს 5-24 თებერვალს ჩატარებულ შეკრებაზე ყურადღებას ძირითადად საერთო ფიზიკურ მომზადებას ვუთმობდით. ამ შეკრებიდან დაიწყეს გუნდთან მუდმივი მუშაობა ექიმმა გივი აბაზაძემ და საეტაპოკომპლექსური გამოკვლევის ჯგუფმა, რომელსაც საქართველოს ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერთანამშრომელი თენგიზ ტერუნაშვილი ხელმძღვანელობს. დიდ დახმარებას გვიწევს თბილისდაცვის სამმართველოს საექიმო-ფიზკულტურის № 1 დისპანსერის მთავარი ექიმი ოთარ ვირუბოვი. ყოველივე ეს დაგვეხმარა გაღრმავებული სამედიცინო კონტროლის განხორციელებაში. მეორე მხრივ, ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური დაკვირვებისა და გამოკვლევების შედეგად გავარკვიეთ ფეხბურთელთა ფუნქციონალური მდგომარეობა, რაც ხელს გვიწყობს საწვრთნელი პროცესის სწორად დაგეგმვაში, საწვრთნელი მეცადინეობების, ვარჯიშებისა და მათი დოზირების განსაზღვრაში.

სწორედ ამ შეკრებამ მოგვცა გუნდის ძირითადი ბირთვის დაზუსტების საშუალება.

ამის შემდეგ გვქონდა კიდევ ორი შეკრება: თბილისში და ბათუმში. მონაწილეობა მივიღეთ სხვადასხვა ტურნირში.

● **თქვენ ახსენეთ გუნდის ძირითადი ბირთვი. ხომ ვერ გაგვაცნობთ მას?**

— სიამოვნებით. მეკარე — ხუტა გვაზავა (35-ე სკოლა); მცველები — ალეკო გელაძე, ვაჟა მაისურაძე, ვალერი გეგეშიძე (ყველა — „ნორჩი დინამოელი“), რუსლან ლოკოტკოვი (გაგრა), ზურაბ არჩვაძე (რუსთავი), ნიკა სირაძე (35-ე სკოლა); ნახევარმცველები — გიორგი ნემსაძე („ნორჩი დინამოელი“), ბესიკ ამაშუკელი, კლიმენტ ნინუა, მამუკა დაბრუნდაშვილი (ყველა — 35-ე სკოლა), კახა დგებუაძე (გაგრა); თავდამსხმელები — იოსებ ნასუაშვილი, ზურაბ თვაური, კობა ამირეჯიბი (ყველა — 35-ე სკოლა), ელდარ გვასალია (ხობი) და თემურ ტუღუში (ბათუმი). როგორც ხედავთ, ჩვენი გუნდის „არეალი“ საკმაოდ ფართოა. უნდა დავსძინო, რომ ეს შემადგენლობა საბოლოო არ არის და შესაძლოა გარკვეული ცვლილებები მოხდეს.

აქვე მინდა საყვედური გამოვთქვა გაგრის სპორტის ხელმძღვანელთა მიმართ. მათი დაუდეგრობის გამო ამ ქალაქის წარმომადგენლები ლოკოტკოვი და დგებუაძე შეკრებებზე სამ-ოთხი დღის დაგვიანებით ჩამოდიოდნენ ხოლმე. სპორტსმენებს დროზე არ აფრთხილებდნენ და ამის გამო ლოკოტკოვი ბოლო შეკრებაზე საერთოდ ვერ გამოცხადდა.

● **თამაშების დაწყებამდე დარჩენილ დროში რა გეგმები გაქვთ?**

— დაგეგმილი გვაქვს კიდევ ორი სასწავლო-საწვრთნელი შეკრების ჩატარება. პირველი მოეწყობა ხობში, ხოლო ბოლო შეკრება — მცხეთაში, 3-22 ივლისს. შევეცდებით მაქსიმალურად გამოვიყენოთ ეს ორი შეკრებაც და არა მარტო სიტყვით, საქმითაც გადავუხადოთ მადლობა საქართველოს სპორტსახკომს, მის ფეხბურთის სამმართველოს, საქართველოს განათლების სამინისტროს, როლებმაც მზადებისთვის იდეალური პირობები შეგვიქმნეს.

● **პირველ შეხვედრას 24 ივლისს ჩაატარებთ...**

— დიახ, ჩვენი მეტოქე დასავლეთის ზონის ნაკრები იქნება. შეხვედრათა შემდგომი განრიგი ასეთია: 25 ივლისი — უკრაინა, 27 ივლისი — „შრომითი რეზერვები“, 28 ივლისი — საბჭოთა არმიის ნაკრები, 30 ივლისი — პროფსაბჭოს პირველი ნაკრები.

● **ბოლოს კი — ტრადიციული შეკითხვა: რა მიზანს ისახავთ ახპარეზობის წინ?**

— მეც და ჩემს კოლეგებსაც — გურამ შავდიას, ნესტორ მუმლაძეს, აგრეთვე განათლების სამინისტროს მწვრთნელ-მეთოდისტს, რესპუბლიკის დამსახურებულ მწვრთნელ გივი მუმლაძეს, რომელიც ასევე ახარში გვიდგას, მშვენივრად გვესმის, რომ საქმე გვექნება ძლიერ მეტოქეებთან. მიუხედავად ამისა, ოპტიმისტურად ვართ განწყობილი და მხოლოდ უმაღლესი ადგილისთვის ვეპირებთ ბრძოლას.

● **გისურვებთ დასახული ამოცანის წარმატებებით შესრულებას და გულშემატკივართა გახარებას.**

დაუმარცხებლად ლიდერობენ

დასასრული

მაგრამ წლევანდელ ტურნირში ჩვენი გუნდი სამი წამყვანი მოთამაშის გარეშე გამოდის და ამიტომ მის წარმატებას არავინ მოელოდა.

ასეც მოხდა, მასპინძლები დამარცხდნენ 6:13 (0:2, 3:3, 1:4, 2:4).

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, იუგოსლავიისა და საქართველოს წყალბურთელების შეხვედრა ორივე გუნდისთვის უფრო ვარჯიში იყო, ვიდრე პაექრობა.

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: კუტივაძემ (2), ბითაძემ, ბაღათურიამ, რამიშვილმა, გიორგაძემ, ხოლო იუგოსლავიელთაგან — ბუკიჩმა, პაშკონინმა (3-3), ჯუხომ, როიემ (2-2), ლუშიჩმა, სტოჩანინმა და ვაზოვიჩმა.

სულამოს, მეხუთე ტურში, ჩვენი გუნდის მეტოქე ბულგარეთის ნაკრები იყო. ეს გუნდი აშკარა აუტსაიდერი ჩანს. ამ ტურამდე მას ქულაც კი არ ჰქონდა აქტივში, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ თავდაუზოგავად იბრძოლებდა. ამასვე ველოდით ჩვენი გუნდისაგან, რომელმაც გამარჯვების შემთხვევაში საპრიზო ადგილზე გასვლის უფრო რეალური შესაძლებლობა ექნებოდა. საქართველოსა და ბულგარეთის ნაკრები გუნდების შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ ტურნირის საუკეთესო ბომბარდირის წოდების შვიდი პრეტენდენტიდან ორნი, კუტივაძე და გიორგიევი, უნდა გამოსულყვნენ სარბიელზე. იმარჯვა ბულგარელმა, რომელმაც ამ დღეს სამჯერ მიაღწია მიზანს და 13 გატანილი ბურთი დაუგროვდა. კუტივაძემ მხოლოდ ერთხელ დალაშქრა მეტოქის კარი და ახლა მის აქტივში 11 ბურთია.

ამ მატჩში ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, მაგრამ მალე ბულგარელები დაწინაურდნენ ორი ბურთით. თბილისელებმა მხოლოდ მეორე პერიოდის მიწურულს შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და ერთი ბურთით დაწინაურება. მესამე პერიოდში ისინი უკვე სამი ბურთით იყვნენ წინ. როგორც ჩანს, ქართველმა წყალბურთელებმა საქმე დამთავრებულად ჩათვალეს და მოეშვნენ. მატჩი დამთავრდა ფრედ — 9:9 (2:3, 3:1, 2:2, 2:3) ბოლო ბურთი სტუმრებმა გაიტანეს.

აღსანიშნავია, რომ მასპინძლებს ცხრაჯერ ზედმეტი მოთამაშე ჰყავდათ, მაგრამ მიზანს მხოლოდ ორჯერ მიაღწიეს, ბულგარელებმა კი ხუთიდან სამჯერ გამოიყენეს რიცხობრივი უპირატესობა.

თუ ჩვენი წყალბურთელები რიცხობრივ უპირატესობას კარგად ვერ იყენებენ, სამაგიეროდ, პენალტით კარის აღების შესაძლებლობას ხლიდან არ უშვებენ, მაგრამ ამ მატჩში თბილისელებს მხოლოდ ერთხელ მიეცათ 4-მეტრიანი საჯარიმოთი მეტოქის კარის დალაშქვრის შანსი და ისიც დაკარგეს, ბულგარელებმა კი ხუთივე პენალტი გამოიყენეს. გამოდის, რომ, ბულგარელებმა ცხრიდან მხოლოდ ერთი ბურთი გაიტანეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თამაშიდან. მსგავს ვითარებაში მასპინძლებმა შვიდჯერ შეძლეს თავის გამოჩენა, რაც მათ ძლიერ მხარედ უნდა ჩაითვალოს.

თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: ბაღათურიამ, გვახარიამ, ნიკოლაიშვილმა (2-2), რამიშვილმა, კუტივაძემ და გიორგაძემ (შეგახსენებთ, რომ მათ გარდა ამ ტურნირზე ჩვენი ნაკრების ღირსებას იცავენ: ტუკვაძე, ბითაძე, კოლუაშვილი, ქართველიშვილი და მაჭავარიანი).

ბულგარელთაგან ბურთები გაიტანეს: გეორგიევმა, ცანევმა (3-3), დაგოროვმა (2) და დენჩევმა. მათ გარდა თამაშობდნენ: გოსპოდინოვი, ვიუკოვი, ტოშევი, დენჩევი, ნესტეროვი, ბლაგოევი, ვინკოვი, სუმოვი და პენელოვი.

გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ საბერძნეთისა და ბულგარეთის (7:7), იუგოსლავიისა და რუმინეთის (9:9), სსრ კავშირისა და აშშ-ის (16:9) გუნდები.

შეჯიბრებას ერთპიროვნულად ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები, რომელსაც 10 ქულა აქვს.

ავთანდილ გურასაშვილი.



მიმდინარეობს სპორტული ნაგებობებისა და მარტივი სპორტული მოედნების კეთილმოწყობა-დათვალიერების ეტაპი

რაიონში 130 სპორტული მოედანია

რვა წლის წინათ საქარხნო რაიონის ხელმძღვანელობამ კომკავშირის მესამოცე წლისთავის აღსანიშნავად 60 სპორტული მოედნის მოწყობა ივალდებულა. გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს — 68 მოედანი გაკეთდა, მაგრამ კარგად დაწყებული საქმე ამით არ დამთავრებულა, დღეს რაიონში 130 მარტივი ტიპის სპორტული მოედანია. ამ მაჩვენებლის მიხედვით ჩვენს რესპუბლიკაში საქარხნო რაიონს ვერავინ გაუტოლდება. მარტო ბოლო სამ წელიწადში აქ 27 მარტივი ტიპის მოედანი მოეწყო. 2 ფეხბურთის მინდორზე 37 ათასი მანეთი დაიხარჯა. რაიონის აღმასკომის (თავმჯდომარე ტ. არველაძე) მხარდაჭერით ლილოს დასახლებაში მონტაჟდება რეზინის გასაბერი დარბაზი, აქვე შეიქმნება ჭიდაობის, კრივის სექციები და ჯამბრთელობის ჯგუფები. სულ მალე ამავე დასახლებაში გაიხსნება ჭადრაკის კლუბი. ორხევში მდებარე დარბაზში აერობიკის ჯგუფები ვარჯიშებენ.



ფეხბურთის ახალი მოედანი (ჭიჭინაძის ქ. № 20), რომელიც ორთვიურის მიმდინარეობის პერიოდში გაკეთდა.

საქარხნო რაიონმა კიდევ ერთი მისაბაძი საქმე ითავა: ვარკეთილის მასივში შეიქმნა კლუბი ინტერესების მიხედვით. ეს იქნება ცენტრი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს სპორტული ბაზების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას. ერთი სიტყვით, საქარხნო რაიონში ბევრი რამ გაკეთდა და კეთდება ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის გასაშლელად. და აი, რედაქციაში საჩივრის წერილი მივიღეთ. წერილის ავტორი ჩიოდა, მესამე მასივში მდებარე ფეხბურთის მოედან „პიონერზე“ ერთ წელზე მეტია სარეკონსტრუქციო სამუშაოები ტარდება და მოსახლეობა მისით ვეღარ სარგებლობს.

რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე სოსო ნემსიწვერიძესთან და საბინაო-საექსპლოატაციო ტრესტის მთავარ ინჟინერ ავთანდილ შათირიშვილთან ერთად მოვინახულეთ ეს მოედანი. მათ გვითხრეს, აქ რეგბის მოედანი კეთდება, რისთვისაც 170 ათასი მანეთია გამოყოფილი.

ფეხბურთის ყოფილი მოედანი სამშენებლო პოლიგონად იყო ქცეული.

საშენ მასალათა სამინისტრო საქმონტაჟსპეცმშენის სამუშაოთა მწარმოებელი გიორგი ლებანიძე:





ამ სპორტულ ბაზებს არც ორთვიურის პერიოდში შეხებია მზრუნველი ხელი; ავიატორთა სტადიონი (მარცხნივ) და ალათბურთის მოედანი (ხომლელის ქუჩა V-ბ კორპ.).

— სიხარულით მივიღე წინადადება მონაწილეობა მიმეღო რეგბის მოედნის მშენებლობაში. თვითონ ყოფილი რეგბისტი გახლავართ, ახლა ჯგუფს ვავარჯიშებ. რეგბისტებს რატომღაც ყველგან ამადლიან ადგილს მოედნის მოსაწყობად, მიუხედავად იმისა, რომ ხადღება არ აკლია. ორთვიურის მანძილზე აქ ათზე მეტი ღია სპორტული მოედანი მოუწყვიათ, ამდენივე მშენებლობის პროცესშია. აქვე უნდა ითქვას, რომ თითო-ოროლა ისეთი მოედანიც შეგვხვდა, საქარხნო რაიონს რომ არ ეკადრება. რდებს არ გაუჭირდებათ მოსვლა.

— მოსახლეობისათვის თუ იქნება ხელმისაწვდომი?

— მხოლოდ მათთვის, ვინც სექციაში ჩაეწერება. საქმე ის არის, რომ მოედანს არ ექნება სარბენი ბილიკები, ბალახის საფარი კი დიდ დატვირთვას ვერ გაუძლებს. სპორტის მოყვარულებისთვის, დამოუკიდებლად მოვარჯიშეებისთვის დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ამ მოედნის გვერდით მდებარე 109-ე საშუალო სკოლის სპორტულ კომპლექსს, რომლის კეთილმოწყობასაც მომავალში ვაპირებთ.

შემდეგ მასპინძლებთან ერთად ისიც მოვინახულეთ, რაც ორთვიურის

აქ შენდება რესპუბლიკაში რეგბის პირველი სპეციალური მოედანი.

პერიოდში ამ რაიონში გაკეთდა. ცხადია, ძნელი იყო რაიონში განლაგებული ყველა სპორტული მოედნის დათვალიერება, მაგრამ, ის, რაც ვნახეთ, თვალნათლივ მიგვანიშნებდა იმაზე, რომ საქარხნო რაიონის სპორტულ მოედნებს ყურა-

გამსვლელი ჰაიკებით

საქართველოს ქალთა XI საერთაშორისო ტურნირის X ტურში ყურადღება მიიქცია ციალა ქალეშვილისა და ქეთევან არახამიას ერთგვაროვანმა. როგორც იცით, არახამიას ერთი ქულის მოპოვება სჭიროდებოდა დიდოსტატის ნორმის შესასრულებლად. ამიტომაც მან თავიდანვე მედგრად შეუტია მეტოქეს და მიტელშპილში „უთა უპირატესობა მიიღო. როცა ორმხრივ ოფიტორტში თითოეულ მეტოქეს ათ ადგილზე ოთხი წუთი რჩებოდა, ქეთევანმა ჰაიკი მოიგო და მეფის ფერთაზე ორი გამსვლელი ჰაიკი მიიღო. პარტია გადაიდო, ქეთევანს ბოლოდმეტი ჰაიკი და მოგების შანსი ჰქონდა.

ნატალია კონსტანტინოვასა და ელენა ახმილოვსკაიას შეხვედრაში ელენამ სწრაფად გაათანაბრა პოზიცია. რთულ სიტუაციაში ახმილოვსკაიამ ხარისხი შესწირა მეტოქეს და მეფის ფრთაზე ძლიერი ჰაიკები შექმნა. პოზიციის გასამატებლად კონსტანტინოვამ ფიგურა გაცვალა ორ ჰაიკში. პარტია გადაიდო.

ჰენრიეტა ლაგვილავასა და ლილია ჟიკმანის პარტია თავიდანვე თითქმის თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ლაგვილავამ მიტელშპილში ჰაიკი შესწირა, მაგრამ ზუსტად ვერ გათვალა ვარიანტები და უპაიკოდ დარჩა, შემდეგ ხარისხიც დაკარგა. პარტია გადაიდო.

გადაიდო ქრისთინ ნიუბერგისა და თამარ ხუგაშვილის პარტიაც. ეტლების ენდშპილში ხუგაშვილს ზედმეტი ჰაიკი აქვს.

კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა ქეთევან კახიანმა, მან ამჯერად პოლონელი ოსტატი ლილიანა ლეშნერი დაამარცხა.

გაიმარჯვა ლიუდმილა ზაიცევამაც, რომელიც შავებით ეთამაშებოდა ევგენია პეიჩევას. მან დებიუტშივე შეძლო უპირატესობის მოპოვება და იგი ბოლომდე არ გაუშვია ხელიდან.

ბოლო ტურის წინ ლიდერთა ჯგუფში არიან ელენა ახმილოვსკაია — 7,5 (3, 11 შეხვედრიდან), ქეთევან არახამია — 7,5 (1), ჰენრიეტა ლაგვილავა — 5,5 (2), ნატალია კონოპლიოვა — 5,5 (1), ლიუდმილა ზაიცევა — 5,5, ქეთევან კახიანი — 5.

ვასილ ვაშაკიძე,
ოსტატობის კანდიდატი.

ფეხბურთი

საერთო ინტერესებისთვის

ჩვენს რედაქციაში ბოლო ხანებში მომრავლდა შემოსული წერილები, სადაც ფეხბურთის მოყვარულები გვთხოვენ განმარტებას თუ რატომ თამაშობენ რესპუბლიკის 1987 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის I ჯგუფში მონაწილე თბილისის „იმედი“-„დინამო“-2 გუნდის შემადგენლობაში თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივის წევრები, რომლებიც სსრ კავშირის ჩემპიონატის განაცხადში არიან შეყვანილი. რესპუბლიკის საფეხბურთო შეჯიბრებათა დებულებაში ხომ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ასეთ ფეხბურთელებს უფლება არა აქვთ ითამაშონ საქართველოს პირველობაზე. რამ გამოიწვია დებულების ამ მეტად მნიშვნელოვანი პუნქტის დარღვევა? გარდა ამისა, მკითხველებს აინტერესებთ, თუ რით არის გამოწვეული ის, რომ ეს გუნდი ხშირად აცდენს რესპუბლიკური ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებს და მათი ჩატარება უხდება სხვა, არაკალენდარულ დღეებში?

ამას გარდა, არის პროტესტები იმ გუნდებისაც, რომლებსაც თამაში უხდებათ თბილისის „იმედი“-„დინამო“-2-თან.

ამ საკითხზე რედაქციამ მიმართა საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს. მივიღეთ განმარტება, რომ წლევანდელ რესპუბლიკურ ჩემპიონატში I ჯგუფის გუნდებს შორის საგანგებოდ დაუშვეს თბილისის „იმედი“-„დინამო“-2, სადაც თავი მოუყარეს რესპუბლიკის იმ ნიჭიერ, ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელებს, რომლებიც შესაძლოა ჯერ კიდევ მზად არ არიან თბილისის „დინამოში“ სათამაშოდ, მაგრამ ახლო მომავალში გამოადგებიან ოსტატთა კოლექტივს. სწორედ ამიტომ რესპუბლიკის სპორტსახკომის ხელმძღვანელობამ გამონაკლისის სახით ნება დართო თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებს საქართველოს ჩემპიონატის მატჩებში გამოსცადოს გუნდის სათადარიგო შემადგენლობის ზოგიერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, რა თქმა უნდა, რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილის ბარათით.

რაც შეეხება იმ საკითხს, რომ ხშირად გვიხდება ამ ახალი გუნდის კალენდარული მატჩების გადატანა, ეს იმითაა გამოწვეული, რომ თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობა საკუთრივ უნდა ნახონ ამ ახალგაზრდა ფეხბურთელთა თამაში, შეამოწმონ მათი პერსპექტიულობა და სპორტული ფორმა, მაგრამ რასან თბილისის „დინამო“ ხშირად არაა შინ და მოგზაურობს საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად, მწვრთნელები ამ პერიოდში მოკლებული არიან საშუალებას უშუალოდ მიადევნონ თვალი თავიანთ ახალგაზრდა ფეხბურთელთა თამაშს და შეამოწმონ მათი სპორტული მომზადების დონე.

ყველაფერი ეს კეთდება ქართული ფეხბურთის საერთო ინტერესებისთვის. მთელი ჩვენი სპორტული საზოგადოებრიობა შეშფოთებულია თბილისის „დინამოს“ წლევანდელი მძიმე მდგომარეობით და ღრმა კრიზისით. გუნდს ველა სჭირდება, სწორედ ახლაა საჭირო ახალგაზრდა ფეხბურთელთა შერჩევა, აგრეთვე მათი საბრძოლო მზადების გაუმჯობესება. გუნდის დახმარების ერთ-ერთ საშუალებად მიგვაჩნია ის, რომ „იმედი“-„დინამო“-2-ის ახალგაზრდა ფეხბურთელებმა რესპუბლიკური ჩემპიონატის დაძაბულ კალენდარულ მატჩებში მიიღონ საბრძოლო წრთობა და აიმაღლონ თამაშის დონე.

ორმაგი წარმატება

აშშ-ის ქალაქ კონკორდში საბჭოთა კავშირის კლასიკური სტილით ჭიდაობის ნაკრებმა დაამარცხა ამერიკის ეროვნული გუნდი — 22:2 (82 კგ. წონაში ჩვენებს მონაწილე არ გამოუყვანიათ).

თავის კოლექტივს გამარჯვება ერუტანეს: მინსკელმა კომანდარ ბაჯიდოვმა, ლენინაკანელმა ლევონ ჯულფალაკიანმა, ალმაათელმა დავლეტ ტურლიხანოვმა, ომსკელმა ალექსანდრ კალიმულინმა და ვლადიმერ პოპოვმა, ვიტებსკელმა იგორ ბანგინმა და ყარაგანდელმა იგორ როსტოროცკიმ (დამარცხდნენ: გორნოუორალსკელი ივან სამტაევი და როსტოველი სერგეი დიუდაევი).

ერთი დღის შემდეგ იმავე ქალაქში ექვსი ქვეყნის (აშშ, იაპონია, კუბა, შვეიცარია, საფრანგეთი და სსრ კავშირი) ათლეტთა საერთაშორისო ტურნირი მოეწყო. გუნდური პირველი ადგილი სსრ კავშირის ნაკრებს ხვდა წილად. წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებები მოიპოვეს: სამტაევმა, ბაჯიდოვმა, ჯულფალაკიანმა, პოპოვმა და როსტოროცკიმ.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი რქეგბიში

რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე საქართველოს გუნდების ბოლო შეხვედრათა შედეგები უკვე გაუწყეთ. გაგაცნობთ სხვა მატჩების შედეგებს: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — ეტს 11:9, „სლავა“ — „ფილი“ 6:15, სკკ — „ელექტრომაში“ 23:6, „პრომორეცი“ — ეტს 9:23, სსა — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 13:6.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 მაისისათვის						

სპორტული ივნისი

რესპუბლიკური შეჯიბრებები

2-6. თანამედროვე ხუთჭიდი. საქართველოს პირველობა იუნიორთა და ჭაბუკთა შორის (ჭაბუკთა II თამაშების პროგრამით). **თბილისი.**

5-7. წყალ-ხათხილამურო სპორტი. საქართველოს ღია პირველობა 1969-1972 წლებში დაბადებულ გოგონათა და ჭაბუკთა შორის. **ფოთი.**

5-13. სახტენდო ხროლა. საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**

5-25. ჭადრაკი. საქართველოს ჩემპიონატი ვაჟთა შორის. უმაღლესი ლიგა. **თბილისი.**

6-8. ბადმინტონი. საქართველოს ღია ჩემპიონატი. **თბილისი.**

11-14. სინქრონული ცურვა. საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**

13-14. საქართველოს IV პირველობა ოჯახებს შორის, დევიზით: „სტარტზე მთელი ოჯახით". **ტყიბული.**

13-18. კალათბურთი. რესპუბლიკური ფესტივალი მინიკალათბურთში. **თბილისი.**

19-21. სახანძრო გამოყენებითი სპორტი. საქართველოს პირველობა 1970-1971 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ქუთაისი.**

20-21. ძძლეოსნობა. საქართველოს პირველობა 1968-1969 და 1970-1971 წლებში დაბადებულ იუნიორთა შორის. **ქუთაისი.**

20-23. ლელობურთი. საქართველოს ჩემპიონატი. ზონალური შეჯიბრება. **ჩოხატაური.**

21.VI-3.VII. საქართველოს ჩემპიონატი 64-უჯრედიან შაშში ქალთა შორის. **ლაგოდეხი.**

26-28. სპორტული ორიენტირება. საქართველოს ჩემპიონატი. **ბაკურიანი.**

26.VI.-1.VII. ტყვიის ხროლა. საქართველოს ჩემპიონატი. **სოხუმი.**

ივნისი. შაში. რესპუბლიკური შეჯიბრება „შამი-საერთაშორისო". **ცვარიჭამია.**

საბჭოური

შეჯიბრებები

5-16. საგზატკეცილო ველორბოლა. ამიერკავკასიის მრავალდღიანი რბოლა. **თბილისი — ერევანი** (საკავშირო კალენდრით).

ᲐᲓᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲡ

დასასრული

მაგრამ ნამდვილი ოსტატი ის არის, ვინც უმაღლეს მიღწევას სტაბილურად იმეორებს. დინამოელ ვლადიმერ ადამაშვილს (ოლიმპიური მომზადების ცენტრი, სპრინტი, „ივერია") უახლოეს შეჯიბრებებშიც უნდა დაემტკიცებინა, რომ თბილისში ნაჩვენები შედეგი არ იყო შემთხვევითი. ამის საშუალება მას სულ მალე მიეცა.

მოსკოვში, კრილატსკოეს ოლიმპიურ ტრეკზე გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში ვლადიმერ ადამაშვილმა ერთხელ კიდევ მიიქცია ყურადღება და რაც უფრო სასიამოვნოა, დაამტკიცა, რომ ჩვენი ქვეყნის უძლიერეს სპრინტერთა შორის მტკიცედ დაიმკვიდრა ერთ-ერთი საპატიო ადგილი.

200 მეტრზე გიტში გამარჯვება მოსკოველმა ნიკოლოზ კოვშმა მოიპოვა — 10,388. მეორე ადგილი ამ პრესტიჟულ შეჯიბრებაში წილად ხვდა ვლადიმერ ადამაშვილს — 10,521, მესამე — სუმილ ა. კირიჩენკოს — 10,528.

სპორტის იმ სახეობებში, სადაც დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, შედარებების საფუძველზე საკმაოდ საინტერესო დასკვნების გაკეთება შეიძლება. სწორედ ამ მიზნით გავიხსენეთ საქართველოს ტელევიზიის „დიდი პრიზის" გათამაშება და იგი საკავშირო თასის შეჯიბრებას შევადარეთ.

თბილისში პირველი და მეორე ადგილები, გახსოვთ ალბათ, გდრ-ის წარმომადგენლებმა ლუც ჰესლიჰმა და მიჰაელ ჰიუბნერმა დაიკავეს (შესაბამისად 10, 119 და 10,158 აჩვენეს). ამ შეჯიბრებაში მესამე ადგილზე გასული ოთარ მჭედლიშვილის დრო 10,604 იყო. ვლადიმერ ადამაშვილს მოსკოვში, როგორც აღვნიშნეთ, 10,521 ჰქონდა. ე. ი. მას ამ შედეგით თბილისის ტურნირში მესამე ადგილის დაკავება შეეძლო. თბილისისა და მოსკოვის ტრეკებს შორის, რა თქმა უნდა, არის განსხვავება. კრილატსკოეს ტრეკი დახურულია, ჩვენი კი ღია, მაგრამ იმ ფაქტს ვერსად გავექცევით, რომ ადამაშვილმა ერთი თვის განმავლობაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობის შედეგი ორჯერ აჩვენა. ახალგაზრდა ველოსიპედისტის ეს სტაბილურობა მოგვწონს.

1000 მეტრზე გიტში ადგილები ასე განაწილდა: 1. კონსტანტინე ხრაბკოვი (მოსკოვი) — 1.04,189, 2. ულდის ბრემანისი (რიგა) — 1.04,676 და 3. ვლადიმერ სულთანოვი (აშხაბადი) — 1.04,949.

პირველი დარგობრივი

დამთავრდა თბილისის საბინაო მეურნეობის სამმართველოსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების I დარგობრივი სპარტაკიადის შეჯიბრება მინი-ფეხბურთში. ასპარეზობაში, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა, 13 გუნდი მონაწილეობდა.

თავი გამოიჩინა და I ადგილი დაიკავა გლდანის რაიონის საბინაო-საექსპლუატაციო ტრესტის გუნდმა. II ადგილზე გავიდა ლიფტების მეურნეობის სამმართველოს გუნდი, III სპარიზო ადგილი საბინაო მეურნეობის სამმართველოს აპარატის გუნდმა დაიკავა.

საუკეთესო ფეხბურთელისთვის დაწესებული პრიზი გადაეცა ჯონი აბაშვილს (გლდანის ტრესტი), ბომბარდირისა — გოგი თვალიაშვილს (14 ბურთი, ლიფტების მეურნეობის სამმართველო).

ლ. უურაშვილი,
საბინაო მეურნეობის სამმართველოს უფროსი ინსპექტორ-მეთოდისტი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲜᲘᲡᲘ: ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ „ᲣᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲡ", ᲪᲡᲙᲐ-Ს ᲓᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ" ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ

დასასრული

უზანდა, მაგრამ ᲗᲡოფლიო ჩემპიონატში მაინც გამოვიდა. ის კი არა და, ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ არგენტინაში გაფრინდა. ტრავმამ იქაც შეახსენა თავი, მაგრამ მოედანზე მაინც გამოვიდა, თანაც საუკეთესო მოთამაშისთვის განკუთვნილი ჯილდო დაიმსახურა. ამასობაში მორიგი საკავშირო ჩემპიონატი დაიწყო. საბონისი ხან ხუთეულში იდგა, ხან ისვენებდა, მაგრამ მცირე ხნით, ერთი-ორი მატჩით. როცა ცსკა-სთან სუპერფინალური მატჩების დრო დადგა, ცხადია, თანაკლუბელთა შორის დაიკავა ადგილი და ალბათ გახსოვთ „უალგირისის" წარმატებაში როგორი წვლილი შეიტანა.

დიდი სპორტსმენის კალენდარი მუდამ გადატვირთულია. კაცმა რომ თქვას, იგი თავის თავს არც ეკუთვნის. ეს საბონისმაც კარგად იცის, მაგრამ ნუთუ კალენდრის უკეთესად შედგენა არ შეიძლებოდა? ვინც საკავშირო ჩემპიონატის განრიგს ადგენდა, ნუთუ არ იცოდა, რომ „უალგირისს" საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშებაში უნდა მიეღო მონაწილეობა. ცხადია, იცოდა (ეს ერთი წლით ადრე ჩვენც ვიცოდით), მაგრამ... კალენდარი ისეა შედგენილი, რომ ბევრი რამ არ არის გათვალისწინებული, ბევრიც გამოტოვებული.

არგენტინიდან ლენინგრადში დაბრუნება „უალგირისმა" ვერ მოასწრო. ვერც მოასწრებდა, რადგან იმ დროს, როცა მორიგი საკავშირო ჩემპიონატი დაიწყო, გუნდის წევრები თვითმფრინავში ისხდნენ და სამშობლოსკენ მოფრინავდნენ. კალენდარი აირია, ვადები შემჭიდროვდა და „უალგირისი", როგორც იტყვიან, ცაიტნოტში აღმოჩნდა. წლეულსაც იგივე განმეორდა. თბილისის ტურზე დროულად რომ გამოცხადებულიყვნენ გუნდის წევრები აეროპორტიდან პირდაპირ სპორტის სასახლეში მოვიდნენ.

საბონისს, ისევე როგორც ყველა მოკვდავს, ყველა დიდ სპორტსმენს, აქვს დასვენების უფლება. თუნდაც იმიტომ, რომ შემდგომში უკეთესად ითამაშოს, ტრავმები მოიშუშოს და მეტი სარგებლობა მოუტანოს თავის კლუბს, ქვეყნის ნაკრებ გუნდს. ამერიკელ პროფესიონალებს წესად აქვთ: სეზონში ერთხელ, ქვეყანა რომ იქცეოდეს, უნდა დასვენონ. თანაც არც მეტი, არც ნაკლები — 40 დღე. ძალთა აღსადგენად სწორედ ეს დრო ყოფილა საჭირო.

კაუნასის „უალგირისის" ცენტრალურ თავდამსხმელს ხშირად ეკითხებიან, რატომ იგებს მისი გუნდი ასე თავდაჯერებულად სუპერფინალებს? თანაც წლევანდელ სეზონს ახსენებენ, როცა ძლიერ გუნდად, ყოველ შემთხვევაში ერთი შეხედვით, ყველას ცსკა ეჩვენებოდა. საბონისს ამის მთავარ მიზეზად საკლუბო პატრიოტიზმი მიაჩნია. ლიტვის გუნდს ეს გრძნობა ჭარბად აქვს.

მაგრამ ამ პასუხს ახსნა სჭირდება. ახსნა კი მარტივია: „უალგირისი" ლიტვის საკალათბურთო ორგანიზაციებში აღზრდილი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული და ამიტომ კლუბის სახელი და ღირსება ყოველი წევრისთვის უწმინდესია. ცსკა-ს ასეთი კალათბურთელები სამი-ოთხი ჰყავს. დანარჩენები? სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქალაქში ან სხვადასხვა გუნდში თამაშობდნენ. ზოგი არმიელი კიევიდანაა (ტკაჩენკო, ვოლკოვი, გობოროვი), ზოგი — ლენინგრადიდან (ტარაკანოვი), ტარტუდან (ენდენი), ალმა-ათიდან (ტიხონენკო) ასე შემდეგ და ასე შემდეგ. ისინი, რა თქმა უნდა, უმაღლესი კლასის კალათბურთელები არიან, თავისი საქმის მოყვარულნი, დიდი ოსტატები, მაგრამ, როგორც საბონისი ამბობს, საკლუბო პატრიოტიზმისთვის ეს საკმარისი არ არის. ჩვენ, — აცხადებს იგი, — არა მარტო ოსტატობით ვართ ძლიერი, არამედ სულითაც. სუპერფინალებში გასამარჯვებლად სწორედ ასეთი სიძლიერეა საჭირო, დასძენს იგი.

საბჭოთა კავშირის ნაკრების ხელმძღვანელთა ახალ კურსს საბონისი მთლიანად და უსიტყვოდ ეთანხმება, იგი დარწმუნებულია, რომ ამერიკელ პროფესიონალებთან თამაშის დრო დადგა, მაგრამ მეტოქე მაინც ფრთხილად, მოფიქრებულად უნდა შევარჩიოთ. პროფესიული კალათბურთის პირველ ექვსეულთან თამაში („ბოსტონ სელტიკსი", „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი", „ატლანტა ხოუკსი", „დალას მეიფერიკსი", „დეტროიტ პისტონსი", „მილუოკი ბუკსი") ჯერ ნაადრევად მიაჩნია, იმიტომ, რომ პროფესიონალთა სტილს, თამაშის მანერას შეჩვევა სჭირდება. მათი კალათბურთი სხვაა, ჩვენგან განსხვავებულია. ისინი უფრო გამძლეები არიან, სწრაფად დარბიან, უკეთ ხტებიან, ფარქვეშ ძალისმიერ ბრძოლას არ ერიდებიან და, რაც მთავარია, დაცვაშიც ხალისით თამაშობენ. ბურთის კალათში ჩაგდება, ცხადია, უყვართ (სხვაგვარად როგორ შეიძლება), მაგრამ იერიშის ლამაზად და ეფექტურად მოგერიებაში მეტ სიამოვნებას პოულობენ. დააკვირდით ერთ ნიუანსს: ჩვენთვის მთავარია კალათის დალაშქვრა, ქულის აღება, პროფესიონალებისთვის კი შეტევა და დაცვა ერთიანად მნიშვნელოვანია.

საბონისს ეკითხებიან: მოთამაშეთა კლასის ამაღლების მიზნით, უმჯობესი ხომ არ იქნება ჩვენი კლუბები სამეურნეო ანგარიშზე გადავიყვანოთ, ან უფრო ზუსტად, პროფესიონალური გავხადოთო? თქვენ წარმოიდგინეთ, პასუხი არც ისე ოპტიმისტურია და იცით რატომ? საბონისის აზრით პროფესიული კლუბის სტატუსი (ცხადია, ექსპერიმენტის სახით) მხოლოდ სამ გუნდს შეიძლება მიეცეს: „უალგირისს", ცსკა-ს და თბილისის „დინამოს" (გაჭირვებით რიგის ვეფ-საც). ეს ის კოლექტივებია, რომლებსაც 10, 15, 20-ათასიანი აუდიტორიის შეკრება შეეუძლიათ. სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა კიევის გუნდებს, მინსკის რტი-ს ცხადია, გაუჭირდებათ. მაყურებელი, ბოლო დროს, ლენინგრადის „სპარტაკსაც" დაეკლო, თანაც საგრძნობლად. როგორ უნდა იარსებონ ამ კლუბებმა სამეურნეო ანგარიშზე? ვერ წარმომიდგენია — დასძენს საბონისი.

როგორც ცნობილია, საბონისი ერთ-ერთ ვარჯიშზე ისევ დაშავდა და საავადმყოფოში მოათავსეს. საბჭოთა კავშირის ნაკრები ევროპის ჩემპიონატში, ზემოთ უკვე ითქვა, მის გარეშე გამოვა. უფროსმა მწვრთნელმა ალექსანდრე გომელსკიმ დაასახელა გუნდის შემადგენლობა: ცენტრალური თავდამსხმელები — ვლადიმერ ტკაჩენკო (30 წლის, 220 სმ სიმაღლის, ცსკა), ვალერი გობოროვი (20, 215, ცსკა), სერგეი ბაბენკო (26, 205, „შახტიორი"), თავდამსხმელები — სერგეი ტარაკანოვი (29, 200, ცსკა), ალექსანდრე ვოლკოვი (23 205, ცსკა), ვალერი ტიხონენკო (23, 206, ცსკა); მცველები — შარუნას მარჩიულენისი (23, 186, „სტატიბა"), ვალდის ვალტერსი (30, 195, ვეფ-ი), ჰეინო ენდენი (30, 200, ცსკა), ვოლდემარას ხომიჩუსი (28, 190, „უალგირისი"), სერგეი ოიგაიშა (32, 194, „უალგირისი"), მეთორმეტე მონაწილე, რომელიც საბონისის ადგილს დაიკავებს, ალბათ, ვლადიმერ პანკრაშკინი იქნება, რომელიც ამ დღეებში უცხოეთში საბჭოთა კავშირის მეორე ნაკრების ღირსებას იცავდა. ხოლო სათადარიგო მოთამაშედ დამტკიცებულია ნიკოლოზ სუხარევი მოსკოვის „დინამოდან".

ᲔᲙᲠᲐᲜᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲗᲔᲠᲨᲘ

ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 31 მაისი. დილის დაჟურვა — 8.00 (1); რიტმული ტანვარჯიში — 9.30 (1); „სპორტლოტოს" ტირაჟი — 10.15 (1); ველორბოლა — „მეგობრობა" — 20.15 (2) და 21.40 (2); თბილისის საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში: იუგოსლავია (ნაკრები) — სსრ კავშირი (ნაკრები) — 21.15 (2); საფეხბურთო მიმოხილვა — 0.20 (1).

1 ივნისი. დილის დაჟურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2), საფეხბურთო მიმოხილვა — 9.05 (1) და 20.25 (2); ველორბოლა „მეგობრობა" — 0.20 (2).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. 31 მაისი. თბილისის საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში — 12.30; სპორტული ფილმების ფესტივალი — 13.05; საფეხბურთო მიმოხილვა — 0.20.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝ. 31 მაისი. რადიოჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი" — 14.30; სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში: I ლიგა — 20.30.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

(ა. წერეთლის გამზირი № 2)

2 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

სსრ კავშირის ფედერაციის თასი

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (თბილისი) — „ᲑᲣᲠᲘᲐ" (ლანჩხუთი)

დასაწყისი 20 საათზე

ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 31 მაისს, 1 და 2 ივნისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-15 საათამდე).

სპორტული სკოლების დირექტორებისა და სახწავლო ნაწილის გამგეთა საყურადღებოდ!

ყველა უწყებისა და ტიპის სპორტული სკოლების დებულების შეცვლასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტახკომში შეიქმნა საკონსულტაციო პუნქტი (ოთახი № 26). კონსულტაციები ჩატარდება 1 ივნისიდან — ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს 15-დან 18 საათამდე.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲮᲙᲝᲛᲘ.

თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის სპორტნაგებობათა სამმართველოს სპორტულ ბაზებზე გახსნილი აქვს ფასიანი გამაჯანსაღებელი ჯგუფები:

— წყალჟომარდობის ბაზა მტკვარზე (სანპიროს № 2) — საერთო ფიზიკური მომზადება, აერობიკა, მაგიდის ჩოგბურთი; მუშაობს გამქირავებელი პუნქტები;

— ველოტრეკზე (კამოს ქ. №89);

— ფრენბურთის მოედნებზე (პლეხანოვის პროსპ. № 115);

— ტანვარჯიშულ კომპლექსში (სანპიროს № 8) — საერთო ფიზიკური მომზადება, აერობიკა.

მსურველებს შეუძლიათ მიაკითხონ დასახელებულ ბაზებს, სადაც შეექმნებათ საუკეთესო პირობები ჯანმრთელობის გასაკაჟებლად. მათ მოემსახურებიან ინსტრუქტორ-მეთოდისტები, სამედიცინო პერსონალი.

ᲡᲠᲣᲚᲘ ᲐᲮᲙᲝᲛᲘ.

„ᲡᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ" — 23 ᲢᲘᲠᲐᲟᲘ (6-7 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ).

		ᲞᲠᲝᲒᲜᲝᲖᲘ		
1987-1988 წწ. სსრ კავშირის თასი ფეხბურთში				
1. „ᲮᲝᲙᲚᲝᲚᲘ" (ᲡᲐᲠᲐᲢᲝᲕᲘ) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲘ)	6.VI	40	20	40
2. „ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐᲮᲘ" (ᲙᲚᲐᲘᲞᲔᲓᲐ) — „ᲩᲔᲠᲜᲝᲛᲝᲠᲪᲘ" (ᲝᲓᲔᲡᲐ)	6.VI	20	10	70
3. „ᲜᲐᲠᲘᲐ" (ᲙᲐᲚᲣᲒᲐ) — ᲐᲮᲙ (ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲘ)	6.VI	10	10	80
4. „ᲓᲠᲣᲟᲑᲐ" (ᲛᲐᲘᲙᲝᲠᲘ) — „ᲕᲐᲟᲔᲚᲘ" (ᲕᲝᲠᲝᲜᲔᲟᲘ)	6.VI	20	10	70
5. „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ" (ᲖᲐᲞᲝᲠᲝᲟᲘᲔ) — „ᲢᲐᲕᲠᲘᲐ" (ᲡᲘᲛᲤᲔᲠᲝᲞᲝᲚᲘ)	6.VI	70	20	10
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘ�გᲐ)				
6. „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ᲙᲘᲔᲕᲘ) — „ᲖᲔᲜᲘᲗᲘ" (ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲘ)	7.VI	80	10	10
7. „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘ" (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ) — „ᲭᲐᲘᲠᲐᲗᲘ" (ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ)	7.VI	80	10	10
8. „ᲛᲔᲢᲐᲚᲘᲡᲢᲘ" (ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ) — „ᲣᲐᲚᲒᲘᲠᲘᲡᲘ" (ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲘ)	7.VI	10	60	30
9. „ᲒᲣᲠᲘᲐ" (ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ) — „ᲓᲜᲔᲞᲠᲘ" (ᲓᲜᲔᲞᲠᲝ�პᲔᲢᲠᲝᲕᲡᲙᲘ)	7.VI	20	60	20
10. „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ" (ᲓᲝᲜᲔᲪᲙᲘ)	7.VI	40	40	20
11. „ᲐᲠᲐᲠᲐᲢᲐ" (ᲔᲠᲔᲕᲐᲜᲘ) — ᲪᲡᲙᲐ	7.VI	50	40	10
12. „ᲜᲔᲤᲢᲩᲘ" (ᲑᲐᲥᲝ) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ" (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ)	7.VI	10	50	40
ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲠᲔᲒᲑᲘᲝᲜᲘ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘ�გᲐ)				
13. „ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ" (ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ) — ᲐᲮᲙ (ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ)	7.VI	80	10	10

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ: თასის მატჩებში მხედველობაში მიიღება მხოლოდ თამაშის ძირითად დროში ნაჩვენები შედეგი.

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 280096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუ სში, ხ. შარაულის ქ. 29.